რე: რომე:. ვინცა:. ტფილელი:. ეპისკოპოსი:. იყოს:. ჩუენისა:. დედისა:. ელენე:. ყოფილისა:. მონაზონისა: ელისაბედისთჳს:. დეკემბერსა:. ექუსსა:. ნიკოლოზობასა:. ჟამსა:. წირვიდენ:. და:. ცოდვათა:. შენდობით:. მოიკსენებდენ:. და ალაპსა:. გარდაიკდიდენ:. და:. ჩუენისა:. გუარისა:. კაცი:. ვერავინრას:. შემოგეცილოს:. ოდეს:. ჩუენ:. ძმანი:. გავიყარენით: მაშინ:. პატრონი:. მეფეთა:. მეფე:. დავით:. და:. მისნი:. თავადნი:. და დარბაზის ერი:. ამილახორი:. თაყა:. და ციციშვილი: მერაბ:. და:. სხუანი:. საპატიონი:. კაცნი:. ამა:. საქმისა:. შუა:. დამხდომნი:. არიან:. აწ:. ვინცა:. და:. რამანცა:. კაცმან:. მოგიშალოს:. და:. შეგიცვალოს:. შემცა იცვალების:. სჯულისაგან:. ქრისტიანეთასა:. რისხავსმცა:. მამა:. ძე:. და:. სული:. წმიდა:. შემცა ედების:. ძრწრწოლა:. კაენისი:. შიშთვილი:. იუდას:. მეხდატეხილობა:. დიოსკორესი:. დანთქმა: დათან:. და აბირონისი:. ნესტორს:. და:. ორიოგინესთანმა:. არს:. ნაწილი:. და:. სამკჳდრებელი:. მისი:. ამისნი:. დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. და:. შემცვალებელნი:. შეჩუენებულ იყუნენ:. დაიწერა:. წიგნი:. და:. სიგელი:. ესე:. ქ̃კსა:. სიაკელითა:. კათოლიკე:. მცხეთისა:. საყდრისა:. ქადაგისა:. მარკოზისითა:.

[stamp]

ხვეულად: ელისაბედ, გოსტაშაბ. 3 ჯვარი.
ნუსხა ხუცურად: ჩ̃ნ ქ̃თლისა: კ̃ზი: კ̃ნნითა: ვ̃მტკიცებთ:.

ხვეულად: კზი.

**1525 წ.** შიომღვიმის სიგელი, დაწერილი ქაღალდზე ზომით 90×26 სანტმ., მიცემული სახლთუხუცესის ივანე სოლადასშვილის მიერ 213 ქორონიკონს. სიგელი დაზიანებულია.

--წდისა:. წინასწარმეტყუელისა: წინა: მორბ---ემელისა: ი̃ნესითა:. და: ი̃ნე: ღ̃თისმეტყუელი---ლწლ: მახარებელისათა:. თავსმდებობითა: და: მინდო[ბითა:] წ̃დთა: და: ყ̃ლდ: ქებლთა: თავთა: მოციქულთა: [პეტრე]: და პავლესითა: ათ̃ორთა: მოციქულთა: და: სამეოცდა[ათ]ეულთა: ქრისტეს: მოწაფეთაჲთა:. თავსმდებობითა: და: [მი]ნდობითა: წ̃დათა: მოციქულთა: წინასწარმეტყუელთა: წ̃თ: მოძღუართა: მოწამეთა: მამათა: მამათ: მთავართა: [ქალ]წულთა: და: ყლთა: ღ̃თისა: წ̃დათა: ზეცისა: და: ქუეყანისათა: უკუნისამდე: ჟამთა:. გასათავებელი: წიგნი და: სიგელი: გ[კადრე]: და: მოგაკსენე:. თქუენ: ყლდ: დიდებულსა:. წ̃დისა: და: ღ̃თშ[ემო]სილისა:. მმათა: მნათობისა: შიოს: და ევაგრის: ცრემლთა: მიერ: მორწ[ყმულ]სა:. და: ოფლითა: მოღუაწებისა: მისისათა: დასხმულსა:. უდაბნოსა: მღუიმისასა:. მო-

ნასტერსა და ტაძარსა. წ˜დისა: სამებისა. და წდისა: ღ˜თის: მშობელ˜სასა:. და:. მას შინა: დამკჳიდრებულთა: წდათა:. მამათა:. მე:. ყ˜ლთა:. დაბადებულთა: უნარჩევესმან:. ცოდვისა:. ღელვათა:. მიერ: გარემოცველმან: და თქუენთა: ლოცვა: ვედრებათა: მიერ: გამოკსნისა: მსასოებელმან: ღ˜თივ: გჳრგჳნოსნისა: მეფისა:. დავითის:. [სახ]ლის: უხუცესმან: და მწიგნობართა მთავარმან: სოლაღასშვილმან:. ივანე:. ვიგულვე: და: ვიგულს: მოდჳნე: და:. შემოვწირე: თქუჲნდა: მომართ: მცირე: ესე: მოსაკსენებელი:. მას:. ჟამსა: ოდეს:. დილუამს: *) ლომის:შვილისაგან: ვენაკი:. ვიყიდე:. მისითა: წყლითა:. და:. წყაროთა:. და: საგუბრითა:. იმავე: ლომის: შვილის ვენაკსა: ზედმოკიდებით: ერთსა: მკარსა:. წდის: გი˜გის:. ვენაკი: უც:. და: იგი: ვენაკი:. მლუიმისათჳს: შემომიწირავს:. ასრე:. და: ამა: წესით:. ვითარა: მამასა: მემლუიმესა: და: ძმათა: გენებოს: იმა: ვენაკსა: ისრე იკმარებდეთ: და: თქუენ:. ერთსა: ყოვლითურგ: უნაკლულოსა: ალაპსა: გარდაიკდიდით:. ჩჳენისა: ცოდვილისა: სჳლისათჳს:. და: რანიც: მღდელნი: და: დიაკონნი: იყუნენ:. ჟამსა: ჩუენთჳს: წირვიდენ:. იანვარსა:. **Ⴂ̃Ⴌ ႨႧ:.** დღესასწ˜ლსა წ˜ისა ანტონისსა:. ესე:. ასრე: გაგითავდეს: თქუენ: წ˜დასა: უდაბნოსა: მლუიმისასა და: მასშინა: დამკჳიდრებულთა: წ˜დათა: მამათა: გქონდეს. და გიბედნიეროს ღ˜თმან:. სიგრძესა: შინა. ჟამთასა: დილუამს:. ლომის შვილისაგან: მოსყიდული: ვენაკი: არა: მოგეშალოს: და: არა: შეგეცვალოს: არა მეფეთაგან: და არა ჩუენგან. და არა ჩუენთა: მომავალთაგან:. მეფისა: ბძანებითა და. მოწმობითა: მიყიდია: და თქუენგან: ალაპი: ნუ მომეშლების: იანვარსა:. ათშუიდმეტსა:. ვინც: ესე: გამოაკუას: წ˜დასა: შიოს: ნალუაწსა უდაბნოსა მლუიმისასა:. ჰრისხავსმცა [და]უსაბამო ღ˜თი: მამა: ძე და: სული წდა და: ყლნი წ˜დანი. ღთისანი: ზეცისა: და ქუეყანისანი. და ჩუენთამცა: ცოდვათა. და. ბრალთა: მზღვეელი: არს: წ˜შე: ღთისა: შემცა: ედების ძრწოლა კაენისი: კეთრი: გეეზისი: შიშთვილი: იუდასი: დანთქმა: ფარაონისი დათან და აბირონისი:. და ნურარათამცა: სინანულითა იქმნების კსნა სულისა: მისისა: დაიწერა: ქ˜კსა ს˜იგ: კელითა: ფრიად ცოდვილისა: გიორგი: ქარმაულისათა

ხვეულად: ვამტკიცებ

ხუცურად: ესე ვ˜ა: მ˜ფთა მ˜ფსა ღ˜თს: დაუმტკიცებია: ეგრე: ჩ˜ნ: ქ˜ს: მ˜რ: კხ[ლი] ქრთლისა: ქ˜თკზი: ბჲსილი კ[ელითა ჩ1]ითა: ვამტკიცებთ:.

ხვეულად ამტკიცებს კათალიკოზი

---

*) ეს სიტყვა განმეორებულია და მეორეჯერ ხაზ შემოვლილი.

1529 წ. სიგელი მცხეთის № 6, დაწერილი ქაღალდზე ზომით $41^1/_2 \times 15^1/_2$ სანტმ., მიცემული აბაში ბარათაშვილისა და მისი ოჯახობის მიერ 217 ქორონიკონს.

ქ:. სახელითა:. დაუსაბამოსა:. ღ̃თისა:. მამისა:. ძისა:. და:. სულისა:. წმიდისათა:. მეოხებითა:. ყოვლად:. წმიდისა:. უხრწნელისა:. უფროსად:. კურთხეულისა:. დედოფლისა:. ჩუენისა:. ღ̃თის:. მშობელისა:. და:. მარადის:. ქალწულისა:. მარიამისათა:. ძლიერებითა:. ცხვლს:. მყოფელისა:. პატიოსნისა:. ჯუარისათა:. თავსმდებობითა:. მინდობითა:. და:. შუა:. მდგომელობითა:. ყოველთა:. წმიდათა:. ღ̃თისათა:. ზეცისა:. და ქუეყანისათა:. ე̃ე:. წიგნი:. მოგახსენეთ:. ჩუენ:. ბარათას:. შვილმან:. აბაშმან:. და ჩემა:. ძმისწულმან:. დავით:. **იარლმან: ბარათამან: ლომან: და იოვანე: და სახლისა: ჩუენისა: მომავალთა: ყ̃თა:** *) შვილთა:. და მომავალთა:. სახლისა:. ჩუენისათა:. ყოველთავე:. თქუენ დედა:. ქალაქისა:. კათოლიკე:. მცხეთისა:. საყდრისა:. საქეთ:. მპყრობელისა:. ქართლისა:. კ̃ზისა:. ბასილისი:. მას:. ჟამსა:. ოდეს:. ჩუენთა:. გუართაგან:. სააღაპოდ:. შემოწირული:. სოფელი:. ყორანთა:. ამოწყუედილიყო:. და სადალოვებს:. მიწებს:. აღარავინ- რას:. გაამებდა:. აწ:. ჩუენ:. ახლად:. მოგახსენეთ:. და დაგიმტკიცეთ:. ყორანთა:. ასრე:. რომე:. სოფელი:. აშენო:. თუ:. სადალოდ:, იკმარო:. ვერავინ:. დაგეცილოს:. და მოგიშალოს:. ყორანთის:. ეკლესია:. და ნასოფლარი:. მისითა:. მზღურითა:. უკლებად:. ასრე:. რომე:. ჩუენთა:. გუართაგან:. გაჩენილი:. აღაპი:. არ:. მოგუეშალოს:. და ვინცა:. ესე:. ჩუენი:. შემოწირული:. სოფელი:. ყორანთა:. მისითა:. სამზღურითა:. მოგიშალოს:. ან ჩუენძან:. გუარის:. კაცმან:. და ანუ:. სხუამან:. ადამის:. მონათესავემან:. კაცმან:. რისხავსმცა:. მამა:. ძე და:. სული:. წმიდა:. და ყოველნი:. წმიდანი:. ღ̃თისანი:. ზეცისა:. და ქუეყანისანი: და ამა:. ზემო:. წერილთა:. მადლი:. და ჩუენთა:. ბრალთათუისმცა:. განიკითხვის:. მას:. მეორედ:. მოსულასა:. დღესა:. მას:. დიდსა:. განკითხვისასა:. დაიწერა:. სიგელი:. ესე:. ქ̃კსა:. ს̃იზ:.

9 ჯვარი

1536 წ. სიგელი ტფილისის სიონის № 163, დაწერილი ქაღალდზე ზომით $40^3/_4 \times 16^1/_4$ სანტმ., მიცემული იანქო საგინაშვილის მიერ 224 ქორონიკონს.

ქ:. სახელითა:. ღმრთისათა:. არსება:. აუგებელისა:. ძალ:. განუზომელისა:. გარე:. შემოუწერელისა:. რომელსა:. ძალნი:. ცათანი:. ვერ:. დაი-

*) ეს ჩამატებულია სხვა მელნით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტევენ:. და:. წესნი:. ანგელოზთანი:. უძრწიან:. უსაზღურო:. განუცდელი:. დაუსაბამო:. ყოველგან:. მყოფი:. და:. ყოველთა:. მხედი:. მბადი:. და წარმომარსებელი:. ყოველთა:. ყოფილთა:. და ყოფადთა:. შეუგინებელად:. დაიტია:. დაუტევნელი:. ცათა:. და:. ქუეყანისა:. თბითა:. კაცობრივითა:. დაბადნა:. ყოველნი:. მადლითა:. და:. მეოხებითა:. ყოვლად:. წმიდისა:. ყოვლად:. უბიწოსა:. ყოვლად:. ურხწნელისა:. დედოფლისა:. ჩუენისა:. სიონისა:. ღმრთის:. მშობელისა:. და მარადის:. ქალწულისა:. მარიამისითა:. ძლიერებითა:. და შეწევნითა:. ცხოველს:. მყოფელისა:. ძელისა:. პატიოსნისა:. ჯუარისათა:. რომელსა:. ზედა:. განიპყრნა:. უხრწნელნი:. მკლავნი:. თუისნი:. ქრისტემან:. ღმერთმან:. ჩუენმან:. კსნისათუის:. ჩუენისა:. და:. ყოველთა:. წმიდათა:. მისთა:. მეოხებითა:. რომელნი:. საუკუნითგან:. სათნო:. ეყუნეს:. უფალსა:. ღ̃თსა:. ჩუენსა:. და კუალადცა:. სათნო:. ყოფად:. არიან:. მე:. იანქოს:. საგინაშვილსა:. საკანონო:. საქმე:. მჭირდა:. მოგიდეგით:. კარსა:. თქუენ:. პატრონსა:. ტფილელ:. მთავარ ეპის:.კოპოსსა:. დომენტის:. და:. სიონისა:. ღ̃თის:.მშობლისა:. საყდრისა:. დასაურვებლად:. და ცოდვათა:. შესანდობელად:. დაგიდევით:. ქალაქს:. ჩუენი:. მკუიდრი:. მამული:. ყოვლისა:. კაცისაგან:. მოუდევარი:. და:. მოუსარჩლელი:. რაცა:. ძმათაგან:. გამომხუდებოდა:. და:. შიაოშის:. შვილთაგან:. საუფროსო:. შემოვიყიდე:. და:. ისიცა:. მოგაკსენეთ:. დარბაზი:. მისითა:. დერეფნითა:. მისითა:. შესავლითა:. და:. გამოსავლითა:. ლიტრაპოლიტის:. (sic) სახლსა:. უკანით:. აწე:. გქონდეს:. თქუენ:. სიონისა:. ღ̃თის:. მშობლისა:. საყდარსა:. და თქუენ:. პ ტრონ[ს]ა:. ტფილელ:. მთავარეპისკოპოსა: დომენტის:. ყოვლისა:. ადამის:. მონათესავისა:. კაცისაგან:. მოუდევარი:. და მოუსარჩლელი:. მამული:. დარბაზი:. მისითა:. დერეფნითა:. მისითა:. შესავლითა:. და გამოსავლითა:. ვერავინ:. შემოგეცილოს:. ვერა:. ჩუენ:. და:. ვერა:. ჩემთა:. შვილთა:. ვერა:. გუართა:. და ნათესავთა:. ჩუენთა:. და ვერავინ:. სხუამან:. ვინცა:. შემოსარჩლად:. და დაცილებად:. მკადრე:. იქმნას:. რისხავსმცა:. დაუსაბამო ღ̃თი:. მამა:. ძე:. და სული:. წმიდა:. და ეს:. საშინელი:. სიონისა:. ღ̃თის:. მშობელი:. მრისხანედმცა:. ექმნების:. მეორედ:. მოსლვასა:. ძისა:. მისისასა:. და ნურარათამცა:. სინანულითა:. იქმნების:. კსნა:. სულისა:. მისისა:. დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. დაიწერა:. მტკიცე:. და უკუნისამდე:. უქცევ:. უცვალებელი:. სიგელი:. ესე:. ქ̃კნსა:. სკდ:. დაიწერა:. სიგელი ესე:. კელითა:. მეფეთა:. მეფისა:. კარისა:. დეკანოზისა:. იორდანესითა:.

ერთი ჯვარი

1546 წ. სიგელი მცხეთის № 505, დაწერილი ტყავზე ზომით 55×25

სანტმ., მცირედ დაზიანებული, დამაზის ხელით, ბოძებული სვიმონ მეფის მიერ 234 ქორონიკონს.

ქ:. ნებითა:. და შეწევნითა:. ღ̃თა:. ჩუენ:. ღ̃თივ:. გჳრგჳნ[ოსანმან:. დიდმ]ან:. მ[ე]ფეთ:. მეფემან:. ლუარსაბ:. ძემან:. ჩუენმან:. პატრონმან:. რამაზ:. და:. შვილთა:. ჩუენთა:. პატრონმან:. სჳმონ:. პატრონმან:. დავით:. და პატრონმან:. ვახტანგ:. ესე:. მტკიცე:. და:. შეუცვალებელი:. წყალობისა:. წიგნი:. ნიშანი:. და:. სიგელი:. გიბოძეთ:. შენ:. ქალაქს:. მეტეხთა:. ღ̃თისა:. მშობ[ლისა:.]ყმათა:. ავანაშვილთა:. ასვატურასა:. და:. მურადსა:. შვილთა:. და:. სახლისა:. [მო]მავალთა:. ყოველთავე:. მას ჟამსა: ოდეს:. მოგჳიდეგით: კარსა:. და:. თარხნიბას:. დაგჳეაჯენით:. ვქენით:. მოკითხული:. და:. კურთხეულისა:. მეფისა:. პაპისა:. [ჩუე]ნისა:. პატრონისა:. კოსტანტინესგან:. იყუენით:. [შეწირულნი:.] და:. მათგ[ან:. თა]რხნი:. წიგნი:. და:. ნიშანი:. გქონებოდა:. თათრთა:. [მოსულასა:. შიგან:] დაკარგულიყო:. ვიგულეთ:. და: ვიგულის:მოვდგინეთ:. ვისმინეთ: აჯა: თქუენი:. წ[იგნი]თ:. ამით:. შეგიწყალეთ: გათარხნეთ:. და: გათავისუფლეთ:. ასრე:. რო[მე:. ყო]ველთა:. წელიწადთა:. ქალაქურიჟა:. ლიტრითა:. ოცსა:. ლიტრასა:. ზეთსა:. [მე]ტეხთა:. ღ̃თისა:. მშობელსა: წინაშე:. უკლებად:. მოიღებდე:. სხუა: ამასგ[არდა:.] არასთანა:.არა:ფერი:.სათხოვარი:.არა:.ვეთხოვებოდეს:. არა:. ტამღა:.[ა]რა:ბაჟი:არა: პურისა: და:. ბმბის:ღალა:არა: ულაყი: არა: ტიკტო[მარა:.] და: არა: სხუა: ქალაქისა: წურილმანი: შესაწერი: და: სათხოვარი: თვ[ინიერ:.] *) ქონდეს: და: გიბედნიეროს: ღ̃თმან:. თქუენ: მეტეხთა: ღ̃თისა:. მშობლის: ყმათა: ავანაშვილთა: ასვატურსა: მურადასა:. და: სახლისა: მომავალთა: თქუენისათა:[ყოვე]ლთავე:. ვინცა: წინამძღუარი იჯდეს: კარგად: მსახურობთ: ბ̃ზა: ჩუენი: ესე: ასრე: გაგითავდეს: და: არაოდეს: არა: მოგეშალოს: არა: ჩუენგან: და: არა: სხუათა: ჩუენთა: გჳართა: მეფეთა: და: მეპატრო[ნეთა]გან:. დამამტკიცებელი:. ღ̃თმან: აკურთხოს:. ორთავე: ცხორებათა:. შინა:. ჟამთასა:. არაოდეს: არ მოგეშალოს: და: არცარა: გეთხოვებოდეს: ერთისა: სათათროსა: [საურისა და მალისა] *): და: შესაწერისმეტი:. ქალაქისა: ამირათ ამირაო:. მამასახლისო:. ნაცვალო:. მუშრიბო:. და: სხუანო:. კელოსანო: ბ̃ზა: და: ნიშანი:. ჩუენი: ესე: თქუენცა: ასრე: გაუთავეთ: თანდგომისა: და: მოხმარების მეტსა: ნურავინ: უშლით: დაიწერა: სიგელი: ესე: ქ̃კნსა: სლდ: თვესა: თებერვალსა: თხუთმეტსა: კელითა:. მდივან. მწიგნობრისა: კარისა: ჩუენისა: [თუ]მანისშვილისა: დავითისითა:

ხვეულად: ლუარსაბ

*) აქ ორიოდე სიტყვა ამოშლილია.

1551 წ. ტფილისის სიონის სიგელი № 11, მიცემული 239 ქორონიკონს
ბატონიშვილის რამაზის მიერ ოჯახობით, დაწერილია ქაღალდზე
ზომით 42×18¼ სანტიმ. სიგელი ფრიად დაზიანებულია და რაც
დედანს აკლია, აღდგენილია მე-XVII საუკუნის იმავე ტაძრის საბუ-
თებში დაცულ № 42 პირით.

ქ:. ნებითა:. და შეწევნითა:. ღ̃თისათა: და მეოხებითა:. ყოვლად:.
უხრწნელისა:. დედოფლისა:. ჩუენისა:. ღ̃თის:. მშობელისა:. და მარადის:.
ქალწულისა:. მარიამისათა:. მძლარებითა: და პატიოსნისა:. ცხოველს:. მყო-
ფელისა:. ჯვარისათა:. წმიდისა:. და:. პატიოსნისა:. დიდებულისა:. ნათლის:.
მცემელისა:. იოვანესითა:. და წმიდისა:. იოვანე:. ქალწულ:. მახარებელისა-
თა:. და წმიდათა ათორმეტთა:. მოციქულთათა:. და ყოველთა:. წმიდათა:.
ღ̃თისათა:. კორციელთა:. და უკორცოთა:. ამა:. ყოველთა:. წმიდათა:.
თავს:. მდედებობითა:. მინდობითა:. და შუამდგომელობითა:. ჩუენ:. მსასოე-
ბელმან:.ცვა:.ფარვათა:.თქუენთამან:.[დიდისა:. მეფი]სა: მეფისა. დავითისა:.ძე-
მან:.პატრონმან:. რამაზ:.დათანა:. მეცხედრემან:. ჩუენმან:. პატრონმან:. ხვა-
რამზე:. და ძემან:. ჩუენმან:. პატრონმან:. ბაგრატ ვიგულს:. მოდგინეთ[:.
და:. გკადრეთ:.] და მოგახსენეთ:. თქუენ:. საშინელსა:. და ცათა:. მობაძავ-
სა:. ქალაქს:. სიონსა:. ღ̃თის:. მშობელსა:. მცირე:. ესე:. შემოსაწირავი:.
დიდგორზედ:. სოფელი:. ფიცხისი:. მისის:. მთითა:. ბარითა:. წყლითა:.
წისქვილითა:. საკნავითა:. სათიბითა:. ქორითა:. მიმინოთა:. და ყოვლის:.
მისის:. სამართლიანის:. სამძღვრითა:. კელ:. შეუალად:. თქუენთვის:. მოგ-
ვიხსენებია:. ასრე:. რომე:. ძოუკდეს:. ყაზახნი:. და აოკრეს:. და მოკითხუ-
ლი:. ვქენით:. თქუენს:. სოფელზედ:. სამკრად:. იყო:. და თქუენთვის:.
შემოგუიწირავს:. შეიწირე:. შენ:. ყოვლად:. წმიდაო:. ღ̃თის:. მშობელო
სიონისაო:. მცირე:. ესე:. შემოსაწირავი:. და[ნაცვალ გვაგე:. და:.] გვიო-
ხე:. წინაშე:. ძისა:. შენისა:. და: ღ̃თ[ისა:. ჩუენისა:. ამინ:. აწე:.] ვინცა:.
და რამანცა:. კაცმან:. მეფემ[ან:. ანუ:. დედოფალმან:. ანუ:.]უფლის:.წულ-
მან:. ანუ:. [თავადმან:. ანუ:. აზნაურმან:.] ანუ:. დიდმან:. [ანუ: მცირემან:
შლად:. და:] კვებად:. და გამო[წირვად:. კელყოს:. შერისხდი:. შენ:.] დე-
დოფალო:. [ღ̃თისმშობელო:. მარადის:. ქალწულო:. მარიამ:. და:. მოშა-
ლე:. მისი:. ყოველივე:. კეთილი:. და:. შეცვალე:. ბოროტად:. მასმცა:.
მიეცემის:. კეთრი:. გეზისა:. შიშთვილი:. იუდასი:. მეხის:. დატეხა:. დიოს-
კორესი:. ცოცხლივ:. დანთქმა:. დათან:. და:. აბირონისა:. ძრწოლა:.]
კაენისი:. ნურა[თამცა:. სინანულით:. ნუ:. იქმნება:. კსნა:. სულ]ისა:. მი-
სისა:. [ჯოჯოხეთისაგან:. ხოლო:. დამამტკიცებელნი:. აკურთხნეს:. ღ̃თნ:.
დაიწერა:. მტკიცე:.[და:. უცვალებელი:. სიგელი:. ესე:. ქ̃კს:.] სლთ:. თვე-
სა:. ივნისა:. ცხრას:. [კელითა:. მწიგნობრისა:. დავით: მაჭავა]რიანისათა:.
ამინ:.

ხვეულად: რამაზ, ხვარამზე

1552 წ. მცხეთის სიგელი № 10, დაწერილი ქაღალდზე ზომით $66^1/_2 \times 22^1/_2$ სანტიმ., თავიც აკლია. მიცემულია ლუარსაბ მეფის მიერ 240 ქორონიკონს.

--და:. სიქადულსა:. წარმართებელსა:. მეფობისა:. ჩვენისას[ა:. და:.] ცხრებისა:. ჩვენისა:. შესავედრებელსა:. თქუენ:. საშინელსა:. და: ცათა:. მობაძავსა:. სვეტსა: ცხოველსა:. და:. კუართსა:. საუფლოსა:. და:. მიროსა:. ღ̃თ:. ყოფელსა:. კათოლიკე:. სამოციქულოსა:. საყდარსა:. თქუენისა:. შეწევნითა:. და: ძალმწეობითა:. მე:. მსასოებელმან:. შენდა:. მომართ:. და:. სურვილით:. მონდობილმან:. მეოხებისა:. შენისამან:. იესიან:. დავითიან:. სოლომონიან:. ბაგრატონიანმან:. ყოვლისა:. საქართველოსა:. ტახტისა:. და:. გვირგვინისა:. ფლობით:. მპყრობელმან.. თქუენ:. მიერ:. გვირგვინოსანმან:. მეფეთ:. მეფემან:. ლუარსაბ:. ვიგულეთ:. და:. ვიგულსმოდგინეთ:. და:. შემოგწირეთ:. სოფელი:. ახოტი:. ჩვენი:: სასახლე:. ალგეთს:. გალმა:. დოლანი:. მეძლეთი:. გოგას: გვერდი:. სახევნი:. და:. შეხვეტილა:. და:. ლანიბანი:. მისითა:. სამართლიანითა:. მზღვრითა:. ასრე:. თარხნად:. და:. უცილებლად:. რაგვარცა:. სხვა:. მცხეთის:. მამულნი:. არიან:. თარხანნი:. ისრე:. არა:. ეთხოვებოდესრა:. წელიწადშია:. ხუთს:. ლიტრას:. ზეთსა:. და:. სამს:. ლიტრას:. სანთელს:. ჩვენად:. მოსახსენებლად:. სვეტის:. ცხოველის:. წინა:. დახარჯევდენ: აწე:. ვინცა:. და:. რამანცა:. ადამის:. მონათესავემ:. კაცმან:. შლად:. და: ქცევად: კელყოს: რისხავსამცა:. მამა:. ძე:. და:. სული:. წმიდა:. და:. ნურათამცა:. ნუ:. იქნების:. კსნა:. სულისა:. მისისა:. შემცა: ედების:. კეთრი:. გეძისა:. შიშთვილი:. იუდასი: ძრწოლა:. კეენისა:. და:. ნურათამცა: ნუ იქნების:. კსნა:. სულისა:. მისისა:. და:. მაზედამცა:. დაჭკდების:. წყევა:. მეასდა რვის:. ფსალმუნისა:. და:. ისიმცა:. არს:. რომელთა:. თქუეს:. სისკლი: მაგისი: ჩვენზედა:. და: შვილთა:. ჩვენთა:. ზედაო:. ხოლო:. დამამტკიცებელი:. ამისი:. ღ̃თნ:. დაამტკიცოს:. დაიწერა:. წიგნი:. და:. ნიშანი:. ქ̃კსა:. ს̃მ:. კელითა.. მოძღურის: რომანოზისათა: მაისსა:. ა̃:. დღესა:. ვ:.

ხვეულად: ლუარსაბ

დასმულია საკათალიკოსო ბეჭედი ასომთავრული წარწერით.

1553 წ. ნინოწმიდის სიგელი № 1, მიცემული ლეონ მეფის მიერ 241 ქორონიკონს, დაწერილია ქაღალდზე ზომით $34^1/_2 \times 15^2/_3$ სანტიმ.

ქ:. ჩუენ:. ღ̃თივ:. გჳრგჳნოსნისა:. მეფეთ:. მეფისა:. გიორგის:. ძემან:. მეფემან:. პატრონმან:. ლეონ:. და:. ძეთა:. ჩუენთა:. პატრონთა:.

გიორგი:. იესე:. ალექსანდრე:. ელმირზა:. და:. დავით:. ესე:. ჟამთა:. გასათავებელი:. სიგელი:. გკადრეთ:. და:. მოგაკსენეთ:. თქუენ:. ქართლისა:. განმანათლებელსა:. დედასა:. და:. ემბაზსა:. წმიდასა:. მოციქულსა:. ნინოს:. და:. ტაძრისა:. მისისა:. საქედ:. მპყრობელსა:. და:. შემამკობელსა:. და:. ათორთა:. ულაბნოთა:. მაკურთხეველსა:. არქიმანდრიტ:. ნინოწმინდელსა: ზაქარიას:/ ვიგულეთ:. და:. ვიგულსმოდგინეთ:. და: შემოვსწირეთ:. აზამბურის:. ღალა:. ასრე:. რომე:. რასაც:. საყდრის ყმა:. აზამბურშიგა:. მოკნევდეს:. მისი:. ღალა:. არა:. ვსთხოვოთ:. და:. არცა:. ავიღოთ:. ესე:. ასრე: გაგითავდეს:. და:. არაოდეს:. არა:. მოგეშალოს:. არა:. ჩუენგან:. და:. არ ა:. შემდგომად:. სხუათა:. მეპატრონეთაგან:. მოკუიკსენებია:. და:. შემოგუიწირავს:. მცირე:. ესე:. შემოსაწირავი:. სულისა:. ჩუენისათუის:. საკსრად:. და: მეფობისა:. ჩუენისა:. წარსამართებელად:. და:. ძეთა:. ჩუენთათუის:. სადღეგრძელოდ:. თქუენ:. წმიდისა:. და:. ქართლისა:. განმანათლებელისა:. წმიდისა:. ნინო მოციქულისა:. ტაძარსა:. მკუიდრად:. და:. მოუშლელად:. ყოვლისა:. კაცისაგან:. და არავინ:. გუიბრძანებია:. მშლელ:. და:. მქცეველ:. ამისად:. თუინიერ:. თანადგომისმეტად:. ესე:. აზამბურის:. ღალა:. შემოგუიწირავს:. წმიდისა:. ნინო მოციქულისა:. საყდრისათუის:. ასრე:. და:. ამა:. წესითა:. რომე:. რასაც:. საყდრის:. ყმა:. აზამბურშიგა:. მოკნევდეს:. მისი:. ღალა:. საყდრისათუის:. აიღებოდეს:. და:. საჩუენოდ:. არა:. ვსთხოვოთ:. და:. არც:. ავიღოთ:. ვინცა:. და:. რამანცა:. კაცმან:. ანუ:. დიდმან:. და:. ანუ:. ცოტამან:. ესე:. ჩუენ:. მიერ:. შემოწირული:. მოგიშალოს:. შენ:. წმიდაო:. ნინო მოციქულო:. მისი:. გაგებული:. კეთილი:. ბოროტად:. შეუცვალე:. დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. დაიწერა:. სიგელი:. ესე:. ქ̃კსა:. სმა:.

ამის შემდეგ 3 ხვეული ხელის მოწერაა და დასმულია ერთი ბეჭედი, რომლის წარწერა გადასულია.

1557 წ. სიგელი მცხეთისა № 58, დაწერილი ქაღალდზე ზომით 35½×20 სანტმ., ბოძებული ქვენიფნეველის რატისშვილის შიათმის მიერ 245 ქორონიკონს.

ქ:. სახელით:. ღ̃თისათა:. მამისა:. და ძისათა:. და სულისა:. წ̃ისათა:. წმიდისა:. დედოფლისა:. ჩუენისა:. მარადის:. ქალწულისა:. მარიამისითა:. პატიოსნისა:. და ცხოველს:. მყოფელის:. ჯვარისათა:. სუეტისა:. ცხოველია:. კუართისა:. საუფლოსა:. და მირონისა:. ღმერთ:. მყოფელისათა:. წ̃თა:. სათორმეტთა:. მოციქულთა:. წ̃თა:. მღდელთ:. მოძღუართა:. მამათა:. მამათ:

მთავართა:. მოწამეთა:. ქალწულთა:. ყოველთა:. წ῀თა:. ღ῀თისათა:. რომელნი:. საუკუნითგან:. სათნო:. ეყუნეს:. უფალსა:. ჩუენსა:. იესოს:. ქრისტესა:. და კუალადცა:. სათნო: ყოფად:. არიან:. აწა:. ყოველთა:. წ῀თა:. ღ῀თისათა:. თავმდებობითა:. მინდობითა:. და: შუა:. მდგომლობითა:. ესე:. უკუნისამდე:. ჟამთა:. გასათავებელი:. წიგნი:. და. სიგელი:. კადრეთ:. და მოგაკსენეთ:. თქუენ:. სამოციქულოსა:. წმიდასა:. საპატრიაქოსა:. მცხეთასა:. საყდარსა:. მაშინა:. ღ῀თივ:. აღმართებულსა:. სუეტსა:. ცხოველსა:. კუართსა:. საუფლოსა:. და მიროსა:. ღ῀თმყოფელსა:. და ხატსა:. ღ῀თისასა:. კელითა:. უქმნელისა:. ჩუენ:. ქუენიფნეველმან:. რატის:. შვილმან:. შიაოშ:. ძმამან:. ჩუენმან:. მანუჩარ:. და ჩუენთა: შვილთა:. და მომავალთა:. ყოველთავე:. მას:. ჟამსა:. როდეს:. ჩუენთა:. ცოდვათაგან:. და ეშმაკის:. საბრკითა:. ძმა: შემოგუაკუდა:. მიუდეგით:. კარსა:. სასოსა:. ჩუენსა:. მცხეთისა:. საყდარსა: და მათსა:. საჴეთ:. მპყრობელსა:. წმიდასა:. მეუფესა:. ქართლის:. კ῀ზ:. პატრიაქსა:. დომენტის:. მოვაკსენეთ:. და შემოვსწირეთ:. ცოდვათა:. ჩუენთა:. შესანდობელად:. მცირე:. ესე:. შემოსაწირავი:- ტფილის:. ქალაქს:. ჩუენი:. მკუიდრი: ყმა:. დემურაშვილი: დავითგულა:. და:. მისნი:. შვილნი:. და მომავალნი:. ყოველნივე:. მისით:. კერძითა:- მამულითა:. სახლკარითა:. ჴურმარნითა:. ქულბაქითა:. ნასყიდითა: და უსყიდითა:. მოგუიკსენებია:. და შემოგუიწირავს:. წმიდისა:. სამოციქულოსა:. საყდრისათუის:. მცხეთისათუის:. სულისა:. ჩუენისა:. საოხად:. და ცოდვათა: ჩუენთა:. შესანდობელად:. ვინცა:. და რამანცა:. ადამის:. მონათესავემან:. კაცმან:. ანუ:. დიდმან:. და ანუ:. მცირემან:. და ანუ:. ჩუენმან:. გუარის კაცმან: ამისად:. გამოკუებად:. შლად: და ქცევად:. კელყოს:. შემცა:. იცვალების:. სჯულისაგან:. ქრისტიანობისა:. რისხავსმცა:. მამა:. ძე:. და წმიდა:. სული:. შემცა:. ედების:. ძრწოლა:. კაენისი:. შიშთვილი: იუდასი:. დანთქმა:. დათან:. და აბირონისი:. მეხ:. დატეხილობა:. დიოსკორესი:. ნესტორს:. და ოროგინეს:. თანამცა:. არის:. სამკუიდრებელი:. მისი: და ჩუენთამცა: ცოდვათა:. მზღველი:. არის:. წინაშე:. ღ῀თისა:. დამამტკიცებელნი: ღმერთმან:. აკურთხნეს:. დაიწერა:. წიგნი:. და სიგელი:. ესე:. ქ῀კნსა:. სმე:.

ჯვარი

1558 წ. სიგელი სცხეთის № 503, დაწერილი ტყავზე ზომით 62 1/3 X 22 1/2 სანტმ., ბოძებული სვიმონ მეფის მიერ 246 ქორონიკონს.

ქ:. ჰოი:. შენ:. ყოველთა:. კაცთა:. და:. ენათა:. საგალობელაო:. და:.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუამდგომელო:. ღ̃თისა:. და:. კაცთაო:. პირო:. წინასწარმეტყუელთაო:. ქალწულო:. სარულ:. მყოფელო:. კმათა:. მათათა:. და:. იგავთა:. მათათა:. სამკაულო:. უცნაურთა:. მათ:. განძრახვათა:. ღ̃თისათა:.აღსასრულო:. წაყალობათა:. მისათა:. გარდამეტებულთა:. გამოცხადებაო:. ყოვლად:. საგალობელო:. საძალო:. ღ̃თისო:. უბიწო:. კაცთა:. სიხარულო:. მეოხო:. მონათა:. შენთაო:. ბნელსა:. დამხსნელო:. და ნათალსა:. ბაჭეო:. ცარემლთა:. და გალოვათა:. მათ:. მწარეთა:. და ძანელთა:. ჩუენთა:. სიხარულად:. შემაცვალებელო:. მონათა:. შენთა:. ნავათ:. საყუდელო:. განწირულთა:. მაკისანელო:. ქალწულო:. ცხორებისა:. კაცათასა:. თაო:. და მფარველო:. ყოვალისა:. სოფალისაო:. უხრწანელო:. წაყევისა:. დამხსნელო:. და კუართხევისა:. მომანიჭებელო:. ბარალთა:. აღმაკოცელო:. კაცთა:. ცხორებისა:. მიზეზო:. ყოველთა:. კარულებისა:. განმაკასნელო:. საღ̃თო:. ეტალო:. ბაჭეო:. სიტყვისა:. ღ̃თისაო:. და:. ძისა:. ღ̃თისმშობელო:. ნიჭო:. ღ̃თისა:. მაღლისაო:. ტაძარო:. და სამოსელო:. უხრწანელო:. სიტყვისა:. დაუსაბამოსაო:. დიდებაო:. კაცთაო:. შენ:. ყოველთა:. არსათა:. უაღრესო:. საძალო:. სიმატკიცეო:. მორწმუნეთაო:. მაცუელო:. ყოვალისა:. სოფალისაო:. და სნეულთა:.მაკურნალო:.წინასწარმეტყუელთა:. საღ̃თოთა:.თქმულისა:. სარულ:. მყოფელო:. ქალწულო:. ღ̃თისმშობელო:.ცეცხლისა:. ენაო:.ქადაგებაო:.მოციქულთაო:.შემამაკაბელო:.მოწამეთაო:. განმამაკნობელო:. მამათაო:. შენ:.საღ̃თო:.მოხედვავო:. კაცთა:.წყალობისა:.სასაწაულო:.საღ̃თოთა:.საიდუმლოთა:.ჰაღალო:.აღსასრულო:.და:.მეფობისა:.ჩუენისა:.გუირგუნო:.მიზეზო ნეტარებისაო:. ანგელოზათა:. და:. კაცთა:. სიხარულო:. და მაშურალთა:. განსუენებაო:. შენ:. ყოველთა:. წამიდათა:. უწამიდესო:. დედაო:. ძისა:. ღ̃თისაო:. დედოფალო:. ღმართის მშობელო:. მარადის:. ქალწულო:. მარიამ:. მე:. მინდობილმან:. ცვა: საფარველთა:. თქუენთამან:. ვიგულე:. და ვიგულსმოდგინე:. სმარადისოდ:. სურვილით:. მოსავა:. მაკობელმან:. თქუენმან:. ჩუენ:. იესიან:. დავითიან:. სოლომონიან:. ბაგარატონიანმა:. ძისა:. და ღ̃თისა:. შენ მიერ:. გუირგუინოსანმან:. მეფეთ:. მეფემა:. პატრონმა:. სავიმონ:. და ძმათა:. ჩუენთა:. გაკადრეთ:. და მოგახსენეთ:. მცირე:. ესე:. შემოსაწირავი:. შენ:. საშინელსა:. ცათა:. მობაძავსა:. დედასა:. ნათალისასა:. ტფილის:. მეტეხთა:. ღ̃თისმაშობელსა:. შემოგაწირე:. ქალაქის:. პირ თა:. სოფელი:. შინდისი:. მისითა:. სამართლიანითა:. მაზღურითა:. მათითა:. და ბარითა:. შესავალითა:. და გამოსავალითა:. სამაკრითა:. და უმაკარითა:. საძებრითა და უძებრითა:. ყოვალითურთ:. უნაკლულოდ:. რაჟამს:. დაჯადეს:. საყადართა:. ზედა:. ძე:. შენი:. და ღ̃თი:. ჩუენი:. განსაჯად:. ადმიანთა:. და შეკარბენ:. მის:. წინაშე:. ყოველნი:. ტომნი:. და:. ენანი:. განკითხვად:. თვითეული:. კაცად:. კაცადისა:. მაშინ:. აღმაკოცელ:. მექმენ:. ცოდვათა:. და ბრალთა:. ჩუენთა:. სააქაოდ:. გასამარჯუებელად:. და წარსამართებელად:. მეფობისა:. ჩუენისა:. და საუკუნოდ:. გამოსახსნად:. სატანჯუელთაგან:. და გაარდა:. იკადებოდეს:. ალაპი:. წელიწადშიგან:. დაუცა-

დებელად: ერთი:. ალაპი:. მარიამობასა:. კარგალებული:. ჩუენთვის:. თვით:.
წინამძღვარი და ეართ:. სულობით:. კარებული:. ჟამსა:. გუიწირევადენ:. და
საკორცითა:. გარდაიკადიდენ:. და მეორესა:. ალაპასა:. ხარებასა:. დღესა:
სულ:. კურთხეულისა:. მეფეთ:. მეფისა:. მამისა:. ჩუენისა:. პატრონისა:.
ლუარსაბისთვის:. გარდაიკადიდენ:. დედოფალთა:. დედოფალისა:. დედისა:.
ჩუენისა:. პატრონისა:. თამარისთვის:. თევაზითა:. ალაპასა:. გარდაიკადი-
დენ:. წინამძღვარი:. საწირევადეს:. და ერთობით:. კარებულნი:. და თუვინ-
მე:- ანუ: მონაზონი:. ანუ:. გალახაკანი:. მივიდოდენ:. ალაპასა:. არავინ:.
დაითხოვადენ:. ძმათა:. თან:. ტრაპეზასა:. შეიყვანონ:. ასავან:. და აჭმონ:.
ვითა:. სხვათა:. მონასტერთა:. ალაპისა:. წესი:. არის:. მოკითხული:. ვაქე-
ნით:. და ძუელითგანცა:. მეტეხათა:. ღ̃თისმაშობალსა:. იყო:. შინდისი:.
და ჟამთა:. ვითარებისაგან:. გამოგკობოდა:. აწე:. ჩუენ:. მეფეთ:. მეფემა:.
პატრონმა:. სავიმონ:. ვიგულე: და:. ვიგულს:. მოდაგინე:. და შემოვსწი-
რე:. მისივენ:. მაკადრი:. მამული:. საშინელსა:. მეტეხათა:. ღ̃თისმშობელ-
სა:. საქაოს:. სადღეგარძელოდ:. და ცოდვათა:. ჩუენთა:. შესანდობელად:.
და საუკუნოდ:. მოსახასენებლად:. დედა:. მამათა: ჩუენთა:. ამინ:. ვინცა:.
და რამანცა:. კაცმა ანუ:. მეფემა:. და ანუ:. დედოფალმა:. ანუ:. დიდმა:.
და ანუ:. მცირემა:. შემადგომად:. ჩუენსა:. კელ:. ყოს:. შალად:. და ქაცე-
ვად:. და გმოკუებად:.და გმოწირვად:. რისხვსმცა:.მამა:.ძე:.და:.სული:წმიდა:.
და ყოვლად:.წამიდა:.ღ̃თისმშობელი:.და ჩუენთამცა:.ცოდავათა:.და ბარალ-
თა:. მაზალუელი:. არის:. დალესა:. მას:. დიდსა:. განკითხვისასა ამისნი:.
დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. და წამიდამა:. ღ̃თისმშობელმან:.
დაიწერა:. წიგანი:. და სიგელი:. ესე:. ინდიკტიონსა:. მეფობისა:. ჩუენისა-
სა:. მეორესა:. ქ̃კსა:. ს̃მვ:. კელითა:. ფანასკერტელისა:. ციცის:. შვილი-
სა:. სახალის:. უხუცესისა:. ზაზასითითა:.

ხელის მოწერა: სვიმონ

დასმულია სვიმონ მეფის ბეჭედი სპარსულ წარწერით

**1571 წ.** დავითგარეჯის სიგელი № 22, მიცემული ალექსანდრე მეფის მი-
ერ 259 ქორონიკონს, დაწერილია ქაღალდზედ ზომით $64^1/_3 \times 21$
$^2/_3$ სანტიმ. თავი აკლია.

---ული:. მოციქულთაგან:. ქადაგებული:. მღრდელ:. მოძღუართა:.
მამათა:. და:. მოწამეთაგან:. ჭეშმარიტად:. რწმუნებული:. ქალწულისა:.
მარიამისაგან:. კორც:. შესხმული:. ღ̃თი:. ღ̃თთა:. უფლი:. უფლებათა:.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმან:. შექმნა:. დავით:. წმიდა:. ყოველთა:. წმიდათა:. მღდელთა:. და:. მოძღუართაგან:. უმეტესად:. მე:. ეგრეთვე:. მესაოემან:. თქუენმან:. და:. ცვა:. ფარვა:. მონდობილმან:. წყალობისა:. თქუენისამან:. და:- სურვილითა:. შემამწირველმან:. საფლავისა:. და:. ეკლესისა:. თქუენისამან:. სულ იერადცა:. და:. კორციელადცა:. მონა:. მონდობილმან:- თქუენმან:. ჩუენ:. ღ̃თივ:. გჳრგჳნოსნისა:. მეფეთ:. მეფისა:. პატრონისა:. ლეონისა:. ძემან:. პატრონმან:. ალექსანდრე:. და:. თანა:. მეცხედრემან:. ჩუენმან:. პატრონმან:. თინათინ:. და:. ძეთა:. ჩუენთა:. ბატონმან:. ერაკლე:. დავით:. და:. გი̃გი:. ვკადრეთ:. ვიგულეთ:. და:. ვიგულის:. მოდგინევით:. და:. არა:. შევსცეთით:. და:. არცა:. უკუილაგმა:. გონებამან:- ჩუენძან:. მცირესა:. ამას:. სამსახურებელსა:. თქუენსა:. და:. შემოგწირე:- და:. მოგახსენეთ:. თქუენ:. გარეჯას:. წმიდისა:. დავითისა:. საფლავსა:. ბედიყარს:. კუამლი:. კაცი:- ოთხი:. მრუდაანელნი:. ჯაგას:. შვილი:. ილა:, მისი:. განაყოფი:. სოსიმას:. შვილი:. ბოსტოღანა:, ბამბჯაანელი:. ვახუშტას:. ნაშვილები:. ნატრო:, და:. ხანას:. შვილი:. გიორგა:., მათითა:- სამართლიანითა:. სამძღურითა:. მამულითა:. და.. დედულითა:- საკმრითა:. და:. უკმრითა:. რისაცა:. დღეს:. აქანობამდინ:. მქონებელნი:- და:. ღირსნი:. ყოფილიყუნენ:. და:. ანუ:. იყუნენ:. ასრე:. და ამა:. პირსა:. ზედან:. რომე:. დღეს:. და:. დღეის:. იქით:. საურისა:. და ლაშქრობისაგან კიდე:. არცარა:. გამოელებოდეს:. და არცარა:. ექნევინებოდეს:. არცა:. საბატონო:. და არცა:. საერის:. კაცო:. თქუენთუის:- სამკუიდროთ:. და:. სამამულედ:. მოგჳიხსენებია:. ამავე: მიზეზებისათუის:. რათა:. ამავე:. სოფელსა:. გუცევ:. გუფარე:. კელი:. აღგჳიპყართ:. თანა:. შემწე:. გუექმენით:. დღე:. გრძელობითა:. წარმამართებელო:. მტერთა:. ზედან:. მძლედ:. გუაჩინეთ:. და:. ყოველი:. განგება:. ჩუენი:. მხიარულ:. ყავით:. და:. გჳიხსენით:. ყოველთა:- ხილულთა:. და:. უხილავთაგან:. ამოთა:. მტერთაგან:. და:. საფარველსა:. თქუენსა:. ქუეშე:. შეგჳინახენ:. და:. ყოველნი:· მაჭირვებელი:. ჩემი:. ცრუ:. ყავთ:, ხოლო:. მერმეცა:. მას:. დიდსა:. დღესა:. ოდეს:. უფალი:. ჩუენი:. დაჯდეს:. განსჯად:. და:. ყოველი:. სული:. განიკითხვოდეს: საყუირი:. კმობდეს:. და:. ცეცხლი:. აღდტყდებოდეს:. და:. კაცად: კაცადსა:. თუითეულად:. საქმენი:. მიეგებოდენ:. თქუენ:. შეგჳეწიენით:. წ̃შე:. ღ̃თისა:. და:. თანა:. ღირს:. მყავით:. ხილვათა:. ნათელსა:. მას:. მიუწდომელსა:. სამკუიდრებელსა:. მას:. ნეტარებისასა:. ჩუენ:. უწყით:. და:. მეცნიერ:. ვართ:. არა:. ღირსვართ:. ვედრებად:., ხოლო:. მცირესა:. ამას:. შემოსაწირავსა:. ვიკადრებთ:. ესრეთ:. შეიწერეთ:. ვითარცა:. მეუფემან:. თქუენმან:. ძღუენი:. იგი:. აბელისა:. და:. ეგრეთ:. გჳიოხეთ:. დღესა:. მას:. განკითხვისასა:. ხოლო:. რომელმანცა:. იკადროს:. გამოკუებად:. და გამოწირვად:. და საამსოფლოდ:. ქცევად:. მიიღოს:. სასჯელი:. კოლად:. გებისა:- რისხავსმცა:. მამა:. ძე და:. სული:. წმიდა:. და:. მას:. ზედამცა:. აღესრულების:. მეასდარკე:. იგი:. ფსალმუნი:. დავითისი:. და:. ჩუენთამცა:. ბრალი ა:. და:.

ცოდვათა:. მზღვევალი:. იქნების:. ხოლო:. დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. ქ̃კს:. სნთ:.

ხვეულდად: ალექსანდრე:. თინათინ.

ერეკლე

1571 წ. მცხეთის სიგელი № 82, მიცემული ყულის ჯიმშიტის მიერ 259 ქორონიკონს, დაწერილია ქაღალდზე ზომით $43^1/_2 \times 21^1/_2$ სანტიმ. თავი დაზიანებულია.

ქ:. სახელითა:. არსება:. და:. უსაბამოსა:. ღ̃თ[ისა:. მამისა:. ძისა:. და სულის]ა:. წმიდისათა:. და:. ყოველთა:. წმიდათა:. ღ̃თისათა:. ზეცისა:. და:. ქუეყანისათა:. კორციელთა:. და უკორცოთა:. ამათითა:. თავს:. მდებობითა:. ესე:. წიგნი:. და სიგელი:. მოგახსენეთ:. ჩუენ:. ყულმან:. ჯიმშიტ:. თქუენ:. ქართლისა:. განმანათლებელსა:. კათოლიკე:. ეკლესიისა:. საყდარსა:. და:. მას:. შიგან:. ღთივ:. აღმართებულსა:. სუეტსა:. ცხოველსა:. კუართსა:. სამეუფოსა:. და:. მირონსა:. ღ̃თ:. მყოფელსა:. ვიკულეთ:. და:. დავიგულს:. მოდგინეთ:. და:. შემოგწირეთ:. ვეძისკევით:. ჩუენით:. ალლითა:. სსაქონლითა:. ნასყიდი:. სასახლე:. მისით:. კარის:. ეკლესიითა:. და:. ჭურმარნითა:. ჩუენთუის:. სასულიეროდ:. და:. სადღეგრძელოდ:. და:. ჩუენთა:. შვილთა:. წარსამართებელად:. მოვახსენეთ:. და:. მივათუალეთ:. ქართლისა:. კ̃ზსა:. პატრიაქსა:. პატრონსა:. ნიკუალაოზს:. ასრე:. რომე: წელიწადშიგა:. ჩუენის:. ცოდვილისა:. სულისათუი:. ერთსა:. ჟამის:. წირვასა:. არა:. დაგუაკლებდეს:. აგრევე:. ჩუენი:. მცირე:. შემოწირ.ული:. ნასყიდი:. და:. ყოვლის:. ადამის:. მონათესავის:. კაცისაგან:. მოუსარჩლელი:. მოუდევარი:. დიდად:. შეიწიროთ:. და რომელნიცა:. შემდგომად:. ამისა:. სხუანი:. პატიაქნი:. დასხდეთ:. წელიწადშიგა:. თუითოთა:. ჟამის:. წირვითა:. შეგუიწყალებდეთ:. და არ:. დაგუაკლებდეთ:. ვინცა:. და რამანცა:. კაცმან:. ესე:. ჩუენი:. შემოწირული:. ნასყიდი:. სასახლე:. კარის:. ეკლესია:. და:. ჭურ:. მარანი:. მიმძლავროს:. და:. სუეტსა:. ცხოველს:. გამოსწიროს:. რისხავსმცა:. დაუსაბამო:. ღ̃თი:. მამა:. ძე:. და:. სული:. წმიდა:. ნუმც იკსნების:. სული:. მისი:. ჯოჯოხეთისაგან:. იუდასთანამცა: არს:. ნაწილი:. და:. სამკუიდრებელი:. მისი:. მას:. ზედამცა:. დაესრულების:. კმა:. იგი:. ჯუარის:. მცმელთა:. რომელთა:. თქუეს:. სისხლი:. მაგისი:. ჩუენ:. ზედაო:. და შვილთა:. ჩუენთა:. ზედაო:. და:. მამტკიცებელ-

ნი:. ამისნი:. ღ̃თნ:.აკურთხნეს: დაიწერა:. წიგნი:. და:.სიგელი:. ესე:. ქ̃კს:.
სმით:. +

ბეჭედი სპარსული წარწერით (ორჯელაა დასმული)

**1571 წლ.** ახლოს. სიგელი მცხეთისა № 83, დაწერილი ქაღალდზე ზომით 41×15½ სანტიმ., მიცემული ჯიმშიტის მიერ, რომელიც ჩანს 1571 წ.

ქ:. სახელითა:. არსება:. და:.უსაბამოსა:. და:. დაუბადებელისა:. ღ̃თი-
სა:. მამისა:. ძისა:. და:. სულისა:. წმიდისათა:. რომელმან:. არა:. არსისა-
გან:. არსად:. მომიყუანნა:. ჩუენ:. რომელმან:. აღადგინა:. პირველ:. დაცე-
მული:. მამა:. ჩუენი:. და:. თანა:. აღადგინა:. ბუნება:. ჩუენი:. მოკუდავი:.
ეპა:. საყდარო:. კათოლიკე:. ეკლესიაო:. უდიდებულესო:. და:. უაღმატე-
ბულესო:. ადამისითგან:. ვიდრე:. მოაქამომდე:. ყოველთა:. და:. ვიდრე:.
აღსასრულადმდე:. ყოფილთა:. და:. ყოფადთა:.და:. ეკლესიათა:. დიდებავო:.
სიმტკიცეო:.სიქადულო:.და:.საფარველო:.ყოველთა:.მორწმუნეთა:.და:.მოსავ-
თა:.შენთაო:.ეპა:.სუეტო:. ღ̃თივ:. დიდებულო:. და:.ღ̃თივ:. ბრწყინვალეო:.
რომელსა:. შინა:. მკუიდრ:. არს:. კუართი:. საუფლო:. ზეგარდამო:. ქსოი-
ლი:. შეღებული:. სისხლითა:. მით:. საუფლოთა:. არამედ:. ვინმე:. მიუთ-
ხრას:. და:. ანუ:. სასმენელ:. ყუნეს:. ქებულებანი:. შენნი:. მე:. მინდო-
ბილმან:. და:. მოქენემან:. შეწევნათა:. შენთამან:. ჯიმშიტ:. და:. თანა:.
მეცხედრემან:. ჩუენმან:. მარიხ:. ვგონებდით:. რათამცა:. მცირედითა:. რა-
თამე:. ნაღვაწითა:. გუემსახურა:. დიდისა:. და:. ცათა:. მობაძავისა:. საპატ-
რიაქოსა:. საყდრისა:. დედა:. ქალაქისა:. მცხეთისათვის:. და:. მას:. შინა:.
ღ̃თივ:. აღმართებულსა:. სუეტსა:. ცხოველისა:. კუართისა:. სამეუფოსა:.
და:. მირონისა:. ღ̃თ:. მყოფელისათვის:. ვიგულს:. მოდგინეთ:. და:. შე-
მოგწირეთ:. და:. მოგაკსენეთ:. ვერისკევს:. სასახლე:. ღ̃თივ:. გვირგინოსნი-
სა:. მეფისა:. პატრონის:. ლეონისგან:.ნაწყალობევი:. და:. ზოგი:. ჩემითა:.
ალლითა:. საქოლნითა:. ნისყიდი:. შემოგუიწირავს:. და:. მოგუიკსენებია:.
ვეძისკევს:. სასახლე:. და:. თქუენ:. წმიდაო:. მღდელთ:. მთავართ:. უმთავ-
რესო:. პატიოსანო:. უფალო:. და:. მეუფეო:. და:. თანა:. მერაბამეო:. წმი-
დათა:. მღდელთ:. მოძღვართაო:. ქართლისა:. კ̃ზ:. პატრიაქო:. პატრო-
ნო:. ნიკოლაოს:. ნუმცა:. დავიწყებულ:. ვიქმნებით:. მსხვერპლ:. შემწირ-
ველობათა:. შინა:. თქუენთა:. და:. ვითარ:. ვერვინ:. მკადრე:. არს:. აგ-
რე:. უცილობელად:. ყოვლისა:. კაცისაგან:. და:. ვერვინ:. იკადროს:. და:.

კელ:. ყოს:. შლად:. და:. გამოკვებად:. და:. გამოწირვად:. ამისსა:. არასა:. ნათესავისა:. კაცისაგან: და:. ვინცა:. და:. რამანცა:. გუარმან:. გამოამკუას:. ანუ:. მძლავრმან:. მძლავრობით:. ანუ:. უქუედავესმან:. რჩომისათვის:. იკადროს:. ამისი:. შეცვალება:. შემცა:. იცვლების:. რჯულისაგან:. ქრისტიანეთასა:. რისხავსმცა:. ღ̃თი:. ცხოველი:. წმიდა:. ღ̃თის:. მშობელი:. და:. ყოველნი:. წმიდანი:. ღ̃თისანი:. ზეცისა:. და:. ქუეყანისანი:. და:. ჩუენთვისმცა:. განიკითხვის:. დიდსა:. მას:. დღესა:. ამინ:. ხოლო:. ესე:. ეგოს:. წმინდავო:. მეუფეო:. სადნამდისინ:. თქუენ:. საპატრიაქოსა:. საყდარსა:. ზედა:. მჯდომი:. ბრძანებდეთ:. წელიწადშია:. თვითოსა:. დღეს:. ჟამს:. გუიწირევდით:.

ხვეულად: ჯიმშიტ

ბეჭედი სპარსული წარწერით

1578 წ. ალავერდის სიგელი № 246, დაწერილი კარგს თხელს ქაღალდზე ზომით $396^{1}/_{2} \times 25^{1}/_{4}$ სანტიმ. ბოძებული ალექსანდრე მეფის მიერ 266 ქორონიკონს.

ქ:. ეჰა:. არსება:. დაუბელო:. დაუსაბამო:. უკუდავო:. საუკუნო:. გარე:. შემოუწერელო:. უსაზღვოროვო:. მიუწდომელო:. შეუხებელო:. უვნებელო წარუმდინარეო:. უნივთოვო:. მარტივო:. შეუზავებელო:. დამბადებელო:. ყოვლისა:. მპყრობელო:. ყოველთა:: შემცველო:. სავსეო:. და:. ზესთა სრულო:. ძალ:. განუზომელო:. ღ̃თო:. მამაო:. და:. თანა:. არსო:. და:. თანა:. დაუსაბამო:. დასაპამისაგან:. დასაბამო:. ნათლისაგან:. ნათელო:. წყაროვო:. ცხორებისაო:. და:. უკუდავების:. მაგალითის:. სახის:. დასაბამო:. შეუდრკელო ბეჭედო:. უცვალებელო ხატო:. საზღურისა:. და:. სიტყუისა:. მამისაო:. ღ̃თო ძეო:. და:.ცხოველს:. მყოფელო:. სრულ:.მყოფელო:.ყოველთა:.აღმავსებელო:.და განმაღმრთობელო:.უხილავო:. უჟამოო:. დაუტევნელო:. უსახოო:. შეუხებელო თუით:.მოძრავო:. მარადის:.მოძრავო:. თუით:.კელშწიფეო:.თუით:.ძალო:.ყოვლისა:.შემძლებელო:.ცხორების:. მომცემელო:. თუით:. ნათელო:. და:. ნათლის:. მომცემელო:. და:. ღ̃თ:. მყოფლო:. სულო:. ყოვლად:. წმიდაო:. რმელთ:. ეგე:. ერთ:. ხარ:. და სამ:. გუამოვან:. რომელი:. ეგე:. არცა:. ერთი:. რა:. გაქუს:. ურთიერთ:. არს:. გან:. ყოფილება:. თუითებასა:. შინა:. გუამთასა:. თუნიერ:. უმიზეზობისა:. და:. მიზეზისგანთა:. გიტყუი:. უშობელსა:. და:. შობილსა:. და:. გამომავალსა:. ერთობასა:. ბუნებისა:. სამობასა:. შინა:. გუამთასა:. რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან:. არა:. სათნო:. იჩინე:. ხატად:. შენდა:. შექმნულისა:. ეშმაკისა:. მი-
ერ:. დამონება:. და:. განიზრახე:. საიდუმლო:. იგი:. კსნისა:. ჩუენისა:.
და:. მოავლნე:. მხოლოდ:. შობილი:. ძე: შენი:. ქუეყანდ:. რომელი:.
იგი:. კორც:. ვასხებულ:. იქმნა:. უბიწოსაგან:. ქალწულისა:. და:. თბე:.
შემოსილ:. იშვა:. ვითარცა:. კაცი:. და:. ალიზარდა:. და:. ყოველი:. წე-
სი:. კაცობრივი:. სრულიედ:. აღასრულა:. თუნიერ:. ხოლო:. ცოდვისა:.
ივნო:. ჯუარითა:. რათა:. განხეთქოს:. ცოდვათა:. ჩუენთა:. კელით:. წერი-
ლი:. მოკუდა:. დაეფლა:. და:. აღდგა:. მესამესა:. დღესა:. და:. განაღმრ-
თო:. კორცი:. მოკუდავი:. ამაღლდა:. ზეცად:. და დაჯდა:. მარჯუენით:.
შენ:. მამისა:. ღ̃თისა:. და:. კუალად:. მომავალ:. არს: განსჯად:. ყოველ-
თა:. მოკუდავთა:. სოფელსა:. ამას:. შინა:. დაგუიტევნა:. მეოხად:. და:.
სავედრებელად:. წინაშე:. მისსა:. წმიდანი:. მოციქულნი:. წინასწარმეტყუ-
ელნი:. მღდელთ:. მოძღუარნი:. მამანი:. მამათ . მთავარნი:. ქალწულნი:.
და:. ღუაწლ:. მრავალნი:. და:. გუირგუინ:. მრავალნი:. რომელნი:. იგი:.
სახელისა:. მისისათუის:.მოკუდეს:.წმიდანი:.და:.ბევრ:.გზის:.წმიდანი:.მოწამე-
ნი:.დი:.მათ:.შორის:.მთავრად:.და:.უდიდებულესად:.და:. უბრწყინვალესად:.
გამოაჩინა:. დიდი:. ესე:. ახოვანი:.მკნე:. მკედარი:. თუსი:. სახელ:. შუენიე-
რი:. მოწამეთა:. მთავარი:. უფალი:. ჩუენი:. და:. სასოება:. ცხრებისა:.
ჩუენისა:. შუიდ:. წილ:. უძლეველი:. გიორგი:. რომლისა:. სურვილმან:.
აღმძრნა:. ჩუენ:. და:. აღატყინა:. გული:. ჩუენი:. სალმრთოსა:. მსახურე-
ბისა:. მიმართ:. და ვესავთ:. მოწყალეებათა:. მისთა:. რომელ:. რაოდენ:.
ძალ:. ედვას:. უკუეთუ:. ენებოს:. შევწიოს:. უბადრუკებასა:. ამას:. ჩუენ-
სა:. ცხორებასა:. შინა:. ჩუენსა:. არა:. დვსცხრეთ:. უზაკველითა:. და:.
უტყუელითა:. გულითა:. მსახურებად:. მისა:. ჩუენ:. დამდებელმან:. მისდა-
მი:. სასოებათა:. ჩუენთამან:. და:. მინდობილმან:. ცვა:. ფარვათა:. მათთა-
მან:. ღ̃თივ:. გუირგუინოსანმან:. მეფემან:. პატრონმან:. ალექსანდრე:.
და:. თანა:. მეცხედრემან:. ჩუენმან:. დედოფალთა:. დედოფალმან:. პატ-
რონმან:. თინათინ:. და:. საყუარელთა:. ძეთა:. ჩუენთა:. პატრონმან:. ერაკ-
ლე:. პატრონმან:. დავით:. პატრონმან:. გიორგი:. პატრონმან:. კოსტან-
ტინე:. და:. ბატონმან:. როსტომ:. ვინებეთ:. და:. ვიგულს:. მოდგინეთ:.
ქმნად:. კნინისა:. რასამე:. და:. უნდოსა:. სალმრთოსა:. მსახურებისა:. სა-
სოებისა:. სასოებისათუის:. მეორმისა:. მის:. მოლოდებისა:. და:. ვითარ:.
არა:. სასოება:. შემოსილ:. მქმნნეს:. ჩუენ:. ოდეს:. აღმოვიკითხოთ:. წმი-
და:. სახარება:. და:. ვიხილოთ:. ცხორება:. ჩუენი:. ქრისტე:. შემწირვე-
ლად:. ორთა:. თწულილთა:. ქურივისათა:. და:. უკუეთუ:. ღ̃თმან:. და:.
მეუფემან:. ეგოდენსა:. მას:. მცირესა:. ძლუენსა:. მიხედნა:. უცრუვოთა:.
გულითა:. შეწირულსა მაშა:. ჩუენმცა:. არა:. უფოროს:. მხიარულ:. ვიყუ-
ნეთ:. და:. უფოროს:. გულსმოდგინე:. ვიქმნნეთ:. რათა მონამანცა:. მის-
მან:. შეიწიროს:. უექუელად:. მოძღუანებული:. და:. მოხედვა:. ყოს:.
უნდოსა:. ძლუენსა:. ზედა:. ჩუენ:. ცოდვილთასა:. ჩაე:. ჭეშმარიტად:.

გუარწამს:. და: ვჰყოთცა:. ვჰკადრეთ:. მოახსენეთ:. და:. შევსწირეთ:. ალა-
ვერდს:. წმიდასა:. გიორგის:. კირაულისძენი:. კოზმანის:. შვილი:. დავით:.
მათნი შვილნი:. და:. შვილნი:. და:.მომავალ:. სახლისა:. მათისანი:. მათით:.
სახლითა:. და:. მამულითა:. ყოვლითურთ:. უნაკლულოდ:. კონდოლს:. მა-
თით:. სასახლითა:. ყმითა:. და:. ლობისტყის:. სასაფლაოთა:. მათით:. სამარ-
თლიანითა:. ველითა ვენაკითა:. ტყითა:. და:. მინდურითა:. მთისა:. და:.
ბარითა:. წყლითა:. წისქუილითა:. შესავლითა:. და:. გასავლითა:. აგრე-
ვე:. სფადლიანთათ:. ჯანოსა:. და:. როინასეული:. ყმები:. და:. მამული:.
კისისკევით:. სომეხნი:. მათით:. სამართლიანით:. მამულითა:. რაცა:. ამას-
წინათ:. დანებებული:. საკნავი:. და სხუა:. მამულები:. ჰქონებოდეს:. მით-
ურთ:. უკლებად:. კიდევე:. სფადლიანთათ:. გურაზისეული:. სასახლე:.
ზუარი:. და:. გლეხნი:. მისით:. სამართლიანითა:. შესავლითა:. და:. გასავ-
ლითა:. საცხურედ:. მოა:. სახლიანი:. და:. მისი:. თავი:. კიდევე:. არბუ-
კით:. კაცნი:. კუამლი:. ჩუიდმეტი:. მათით:. სამართლიანით:. მამულითა:.
აგრევე:. იქივე:. არბუკს:. სასახლე:. და:. ზუარი:. აგრევე:. ლანუკს:. ამა-
ზის:. უბნით:. კაცი:. კუამლი:. ოცი:. მათით:. სამართლიანით:. მამულითა:.
აგრევე:. კემურით:. მოსულნი:. მათით:. სამართლიანით:. მამულითა:. წყლი
თა:. წისქუილითა:. ველითა:. ვენაკითა:. ტყითა:. და:. მინდურითა:. შესავ-
ლითა:. და: გასავლითა საკმრითა:. და:. უკმრითა:. ყოვლითურთ: უნაკ-
ლულოდ:. დიდითგან:. ვიდრე:. მცირედმდე:. თარხნად:. და:. კელ:. შეუ-
ვალად:. ყოვლისა:. საჩუენოსა:. სამსახურისა:. და:. გამოსაღებისაგან:. და:.
შემოუვალად:. ყოვლისა:. კარით:. ჩუენით:. წარმოვლენილსა:. მოკელისა:.
და:. მოსაქმისაგან:. კელ მოხსნით:. გაგუი́თხნებიათ:. ყოვლისა:. საპატრო-
ნოსა:. საქმისაგან:. დიდთაგან:. ვიდრე:. მცირედმდე:. თუინიერ:. ლაშქარ:.
ნადირობისა:. და:. სათათროსა:. საურისაგან:. კიდე:. და სამკუიდროდ:.
ვიდრე:. უკუნითი:. უკუნისამდე:. ესე:. ასრე:. შემოგუიწირავს და:. დაგუ-
იმტკიცებია:. ასრე:. და:. ამა:. წესითა:. რა რიგადცა:. თქუენი:. სხუა:.
ამას წინათ:. სხუათა:. მეფეთა:. და:. დედოფალთაგან:. შემოწირული:. ყმა:.
და:. მამული:. გაქუსთ:. იმრიგად:. კელშეუვალად:. თქუენთუის:. და ქუე-
ნის:. საჭეთ:. მპყრობლისა:. პატრონისა:. ნიკოლოზისთუის:. დაგუინებე-
ბია:. და:. თქუენთუის:. შემოგუიწირავს:. თქუენ:. საშინელისა:. ალავერ-
დისა მთავარ:. მოწამისა:. გიორგისთუის:. ჩუენთუის:. სადღეგრძელოდ:.
და:. ცოდვათა:. ჩუენთა:. შესანდობელად:. და:. მეფობისა:. ჩუენისა:. წარ-
სამართებლად:. და:. ძეთა:. ჩუენთა:. სადღეგრძელოდ:. არამედ:. შენ:. მო-
წამეთა:. შორის:. წარჩინებულო:. ვითარცა:. მზე:. ვარსკულავთა:. თანა:.
და:. ბრწყინვალეო:. მსგავსადვე:. მზის:. თუალისა:. სანთელო:. დაუშრე-
ტელო:. წინაშე:. ღ́თისა:. მნათო:. ცისკარო:. დაუვალო:. მზეებრ:. გან-
ბრწყინვებულო:. ყოვლისა:. ქუეყანისაო:. რომელი:. ჰნათობ:. და:. ჰკამკა-
მებ:. ყოველსა:. ზედა:. ერთა:. ქრისტეს:. მოწმუნეთასა:. რომელმან:. სძ-
ლე სიმკნითა:. შენითა:. მძლავართა:. სიბორგილესა:. და მოჰკუედ:. ქრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესთუის:. შენისა:. და:. მიიხუენ:. დაუქნობელნი:. იგი:. გუირგუინი:. უხ-
რწნელებისანი:. ზეცათა:. შინა:. მეოხო:. და:. შემწეო:. ყოველთა:. მვე-
დრებელთა:. შენთაო:. და:. კელისა:. მპყრობელო:. სასოებით:. შენდა:.
მილტოლვილთაო:. შუიდ:. წილ:. უძლეველო:. მოწამეობით:. განშუენე-
ბულო:. ჩუენდა:. დიდად:. სასოებაო:. და:. სიქადულო:. ცხრებისა:. ჩუე-
ნისაო:. და:. დიდო:. შესავედრებელო:. ცოდვილისა:. სულისა:. ჩუენისაო:.
ზღუდედ:. გამორჩეულო:. წარმმართებელო:. მეფობისა:. ჩუენისაო:. დიდე-
ბაო:. და:. სიმტკიცეო:. ჩუენ:. მვედრებელთა:. შენთაო:. მკნეო:. მკედა-
რო ქრისტესო:. საშინელო:. ალავერდის:. მთავარ:: მოწამეო:. შეიწირე:.
მცირე:. ესე:. და:. უნდო:. და კნინი:. შესაწირავი:. და:. შეწირე:. წინა-
შე:. ქრისტეს:. ღ̃თისა:. შენისა:. და:. ნაცვალ:. გუაგე:. მადლი:. და:.
მეოხება:. შენი:. და:. წარმართე:. შარავანდედობა:. ჩუენი:. და:. დღე:.
ჰმატე:. მფლობელობასა:. ჩუენსა:. რათა:. ჩუენცა:. უმეტეს:. და:. უმკურ-
ვალეს:. მოქენე:. ვიქმნნეთ:. მარადის:. მსახურებად:. და:. დიდებად:. შენ-
და:. და:. აღამაღლე:. რქა:. მართალ:. მადიდებლობისა:. ჩუენისა:. და:.
მშვიდობით:. განაგე:. ცხორება:. და:. დასცენ:. ყოველნი:. მტერნი:. ჩუენ-
ნი:. ხილულნი:. და უხილავნი:. და:. საწუთონსა ამას:. ცხორებასა:. შინა:.
ჩუენსა:. ზედა:. მდგომელ:. და:. წინამძღუარ:. გუექმენ:. ნუ:. გეშინის:.
გუეც:. შეგზღუდენ:. გუცევდ:. გუფარევდ:. გუილუწიდ:. კელი:. აგუიპ-
ყარ:. და:. შეგუეწიენ:. და:. ყოველთაგან:. საბრკეთა:. საეშმაკოთა:. გამო-
გუიკსნენ:. ხოლო:. დღესა:. მას:. საშინელსა:. და:. ზარის:. საკდელსა:.
ოდეს:. იგი:. არა:. ჰმატდეს:. მეფე:. მონასა:.მთავარი:. მრწემსა და:. არცა:.
მდიდარი:. გლახაკსა:. არამედ:. ყოველნი:. შიშველნი:. და:. ქედ:. დადრე-
კილნი:. წარვდგეთ:. წინაშე:. მართალ:. მსაჯულისა:. მაშინ:. მკურვალ-
ელ:. ილუაწე:. ცოდვილისა:. ჩუენისათუის:. და:. ევედრე:. ყოვალესა:.
და:. ძუირ:. უკსენებელსა:. ღ̃თსა:.და:. მეუფესა:. შენსა:. რათა:. მარჯუე-
ნეთა:. თანა:. აღრაცხილ:. ვიქმნნეთ:. და:. გუესმას:. კმა:. იგი:. მოვედი-
თისა:. და.. ღირს:. ვიქმნნეთ:. დამკუიდრებად:. სასუფეველსა:. ცათასა:.
რამეთუ:. მისა:. ჰშუენის:. ყოველი:. დიდება:. აწდა:. საუკუნისამდი:. ამინ:.
აწე:. ვინცა:. და:. რამანცა:. ადამის:. თესლთაგანმან:. კაცმან:. კელყოს:.
და:. იკადროს:. ჩუენ მიერ:. შემოწირულისა:. ბრძანებულისა:. და:. დამტ-
კიცებულისა ამის:. შლად:. გამოკუებად:. და:. არა:. დამტკიცებად:. გინა-
თუ:. მეფემან:. მეფობისათუის:. ანუ:. თუ:. დედოფალმან:. პატიოსნობისა-
თუის:. გინათუ:. უფლისწულმან:. ულონოებისათუის:. ანუ თუ:. მთავარ-
მან:. მთავრობისათუის:. გინა თუ:. აზნაურმან:. ანუ თუ:. გლეხმან:. გინა-
თუ:. სამღრთოთა:. და:. სთაგანმან:. ანუ თუ:. მსოფლიომან:. დიდმან:.
ანუ:. მცირემან:. ვინცა:. და:. რამანცა:. კცმან:. კელყოს:. და:. გამოსწი-
როს:. რისხამცა:. დაუსაბამო:. და:. დაუსრულებელი:. ღ̃თი:. მამა:. ძე:.
და:. სული:. წმიდა:. და:. ყოველნი:. წმიდანი:. ღ̃თისანი:. ზეცისა:. და
ქუეყანისანი:. კორციელნი:. და:. უკორცონი:. შემცაიცვალების:. სჯული-

საგან:. ჩუენ:. ქრისტიანეთასა:. ʻშეჰცა:. ედების:. ძრწოლა:. კაინისი:. კვთ-
რი:. გეზისი:. ცოცხლიე:. დანთქმა:. დათან:. და:. აბირონისი:. მეხ:. დატე-
ხილობა:. დიოსკორესი:. შიშთვილი:. იუდასი.. და ნურარათამცა:. სინანუ-
ლით:. ნუ:. იქმნების:. კსნა:. სულისა მისისა:. მასზედამცა:. აღესრულების:.
მეასდარვე:. იგი:. ფსალმუნი:. და:. ჩუენთამცა:. ცოდვათა:. მზღველი:.
იგი:. არს:. დღესა:. მას:. დიდსა:. განკითხვისასა:. ხოლო:. შენ:. საშინე-
ლო:. წმიდაო:. ღ̃თის:. მშობელო:. მისგან:. იძიე:. შური:. ჯუარის მცუ-
მელთა:. ძისა:. შენისა:. ეგრეთვე:. შენ:. შუიდ:. წილ:. უძლეველო:. წმი-
დაო:. გიორგი:. შენ:. იყავ:. მრისხველი:. მისი:. ორსავე:. შინა:. ცხორე-
ბასა:. ამ სოფელსამცა:. მოკუდების:. დღე:. განუსრულებელი:. საქიქელითა:.
სიკუდილითა:. და:. მას:. საუკუნოდ:. იუდასთანამცა:. არს ნაწილი:. და:.
სამკუიდრებელი:. მისი:. ხოლო:. ამისნი:. დამამტკიცებელნი:. ღთმან:. აკ-
ურთხნეს:. და:. წმიდა:. ყვნეს:. ესე:. ასრე:. დაგუიმტკიცებია:. და:. ნუმ-
ცა:. ვინ:. იქმნების:. მშლელ:. და:. მაქცეველ:. ბრძანებულისა:. ამის:.
ჩუენისა:. შემოგუიწირავს:. და:. მოგუიკსენებია:. თქუენ:. ალავერდს:. მთა-
ვარ:. მოწამისა:. წმიდისა:. გიორკისთუის:. ასრე:. და:. ამა:. წესითა:. რა-
რიგადცა:. სხუა თქუენი:. ყმა:. აზნაუოშვილი:. და:. მისი:. ყმა:. გმსახურ-
ებდეს:. და:. ანუ:. გიმუშავებდეს:. ესეცა:. იმ წესითა:. თქუენთუის:. სასამ-
სახუროდ:. შემოგუიწირავს:. და:. რასაც:. თქუენი:. მპყრობელი:. ალავერ-
დელი:. უბრძანებდეს:. მისის:. ბრძანების:. გამთავე:. იყოს:. სათქუენოს:.
საქმეზედზედან:. დაიწერა:. მტკიცე:. და: უცვალებელი:. მტკიცე:. წიგ-
ნი:. და:. სიგელი:. ესე:. ქ̃კს:. სნივ:. კელითა კარისა:. ჩუენისა:.
მწიგნობრისა:. ფრიედ:. ცოდვილისა:. ზურაბისითა:. ამინ:.

ხვეულად: ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა. ერეკლე. დავით.
გიორგი. არშიაზე მე XVII სა უკ. ხელით ქ:. ეს:. სიგელი:. შანშემ:. ბარათა:.
შვილმა:. იპოვნა:. ისპანს:.

1580 წ. ქვათახევის სიგელი № 14, მიცემული ბატონიშვილის რამაზ ყო-
ფილის რომანოზის მიერ 268 ქორონიკონს, დაწერილია ქაღალდ-
ზე ზომით $52^3/_4 \times 20$ სანტიმ. თავი დაზიანებულია.

--ვანად:. ცნობილისა:. მამისა:. და:. --და:. --დ:. წი̃სათა:. მეოხები-
თა:. ყოვლად: უხრწნელისა:. დედოფლისა:. ჩ[უენისა ღ̃]ის:· მშობელისა:.
